

საქართველოს კანონი უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი საქმიანობის რეგულირების შესახებ

თავი I ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი განსაზღვრავს უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი საქმიანობის განხორციელების სამართლებრივ საფუძვლებს და პირობებს, ასევე აწესრიგებს პროფესიული ასოციაციების აკრედიტაციისა და მათ მიერ ამგეგმავთა სერტიფიცირებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს.

მუხლი 2. კანონის მიზანი

ამ კანონის მიზანია საქართველოში უძრავი ნივთების საკადასტრო აგეგმვითი საქმიანობის უნიფიცირებული სისტემის ფორმირება და ამ სფეროში მომსახურების ხარისხის ამაღლება.

მუხლი 3. ტერმინთა განმარტება

ამ კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვთ შემდეგი მნიშვნელობა:

უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი საქმიანობა – პროფესიული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია უძრავი ნივთის შესახებ მონაცემების დოკუმენტურებასთან;

ამგეგმავი – ფიზიკური პირი, რომელსაც ამ კანონით დადგენილი წესით მიენიჭა უფლებამოსილება უძრავი ნივთის საკადასტრო აგეგმვითი საქმიანობის (შემდგომში - აგეგმვითი საქმიანობა) წარმოებაზე;

პროფესიული ასოციაცია – ნებისმიერი კერძო სამართლის არასამეწარმეო იურიდიული პირი (შემდგომში – ასოციაცია), რომელიც, ამ კანონით დადგენილი წესით ახორციელებს ფიზიკური პირების სერტიფიცირებას და სერტიფიცირებული ამგეგმავების საქმიანობის სერტიფიცირების პირობებთან შესაბამისობის კონტროლს;

სერტიფიცირება – აგეგმვითი საქმიანობის წარმოებაზე უფლების მინიჭება;

სერტიფიკატი – დოკუმენტი, რომელიც ადასტურებს ამგეგმავის პროფესიულ კვალიფიკაციას და განსაზღვრავს პროფესიული საქმიანობის ვადას და ფარგლებს;

თავი II აგეგმვითი საქმიანობის რეგულირება

მუხლი 4. ასოციაცია

1. ასოციაციის საქმიანობა, რომელიც უკავშირდება ფიზიკური პირების სერტიფიცირებასა და აგეგმვითი საქმიანობის სერტიფიცირების პირობებთან შესაბამისობის კონტროლს, ექვემდებარება აკრედიტაციას, აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანოს – აკრედიტაციის ცენტრის მიერ, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. ასოციაცია უფლებამოსილია განახორციელოს ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობა მხოლოდ დადგენილი წესით აკრედიტაციის შემდეგ.

3. აკრედიტაციის ვადაა 5 წელი. ამ ვადის გასვლის შემდგომ ასოციაციას შეუძლია მოითხოვოს აკრედიტაციის ვადის გაგრძელება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი 5. აგეგმვითი საქმიანობის სტანდარტები

1. ასოციაცია უფლებამოსილია გამოიყენოს აგეგმვითი საქმიანობის სფეროში მოქმედი საერთაშორისო და საქართველოს სტანდარტები. ასევე იქონიოს და გამოიყენოს საკუთარი სტანდარტები.

2. ასოციაციის მიერ შემუშავებულ სტანდარტს სამართლებრივი სტატუსი ენიჭება მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით რეგისტრაციის შემდეგ.

მუხლი 6. სერტიფიცირება

1. სერტიფიცირება არის ფიზიკური პირისათვის აგეგმვითი საქმიანობის წარმოებაზე უფლების მინიჭება.

2. აგეგმვითი საქმიანობის წარმოებაზე უფლება გააჩნია მხოლოდ სერტიფიცირებულ ფიზიკურ პირს - ამგებმავს.

2. სერტიფიცირების წესი და პირობები განისაზღვრება ამ კანონით და ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული დებულებით.

მუხლი 7. სერტიფიკატი

1. სერტიფიკატი განსაზღვრავს აგეგმვითი საქმიანობის ფარგლებს და ვადას. სერტიფიკატის ფორმას ამტკიცებს ასოციაცია.

2. სერტიფიკატს აქვს სერია, ნომერი და დაცვის სხვა ნიშნები.

3. სერტიფიკატის სხვა პირისათვის გადაცემა დაუშვებელია.

მუხლი 8. სერტიფიკატის გაცემის საფუძვლები

1. სერტიფიკატი გაცემა სერტიფიკატის მიღებით დაინტერესებული ფიზიკური პირის მიერ ტესტირების წარმატებით გავლის საფუძველზე.

2. სერტიფიკატის გაცემის დამატებითი საფუძვლები განისაზღვრება ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული დებულებით.

მუხლი 9. სასერტიფიკაციო შენატანი

1. ასოციაცია უფლებამოსილია სერტიფიკატის გაცემისათვის დააწესოს სასერტიფიკაციო შენატანი.

2. სასერტიფიკაციო შენატანის ოდენობა და გადახდის წესი განისაზღვრება ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული დებულებით.

მუხლი 10. სერტიფიკატის გაცემა

1. ასოციაცია საერთო კრების მიერ დამტკიცებული დებულებით დადგენილი პირობებით, წესით და ვადაში იღებს გადაწყვეტილებას სერტიფიკატის გაცემის შესახებ ან სერტიფიკატის გაცემაზე უარის თქმის თაობაზე.

2. ასოციაციის გადაწყვეტილება სერტიფიკატის გაცემაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 11. სერტიფიკატის ამოქმედება და მოქმედების ვადა

1. სერტიფიკატის მოქმედების ვადაა 2 წელი მისი გაცემის შესახებ გადაწყვეტილების მიღების დღიდან. ამ ვადის გასვლის შემდეგ ამგებმა ვალდებულია ხელახლა გაიაროს სერტიფიცირება ამ კანონით დადგენილი წესით.

2. ამგებმა ვალდებულია საკადასტრო საქმიანობა განახორციელოს სერტიფიკატის ძალაში შესვლის დღიდან.

მუხლი 12. სასერტიფიკაციო რეესტრი

1. ასოციაცია ვალდებულია აწარმოოს სასერტიფიკაციო რეესტრი.

2. სერტიფიკატის გაცემის, მოქმედების ვადის გაგრძელების, მათი მოქმედების შეჩერებისა და განახლების, მათი გაუქმების და სერტიფიკატის ასლების გაცემის თაობაზე მონაცემები სასერტიფიკაციო რეესტრში შეიტანება გადაწყვეტილების მიღებიდან 3 დღის ვადაში.

3. სასერტიფიკაციო რეესტრში ასევე შეიტანება;

ა) მონაცემები სერტიფიკატის მფლობელის ვინაობა;

ბ) სერტიფიკატის ნომერი და გაცემის თარიღი;

დ) ასოციაციის იურიდიული მისამართი.

4. სასერტიფიკაციო რეესტრში დაცული მონაცემები წარმოადგენს საჯარო ინფორმაციას.

მუხლი 13. სერტიფიკატის ვადის გაგრძელება

1. სერტიფიკატის ახალი ვადით გაგრძელება ხდება 1 წლით.

2. სერტიფიკატის ახალი ვადით გაგრძელების მიზანია ამგებმავის მიერ პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების, ახალი პროფესიული სტანდარტების, მეთოდების და ტექნოლოგიების ათვისების დადასტურება.

3. სერტიფიკატის მოქმედების ახალი ვადით გაგრძელების აუცილებელი პირობაა სასერტიფიკაციო გამოცდის ჩაბარება ამ კანონით დადგენილი წესით.

4. სერტიფიკატის მოქმედების ახალი ვადით გაგრძელების თაობაზე გადაწყვეტილების მიღების შემდეგ სერტიფიკატში კეთდება შესაბამისი აღნიშვნა.

5. გადაწყვეტილება სერტიფიკატის მოქმედების ახალი ვადით გაგრძელებაზე უარის თქმის შესახებ შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 14. სასერტიფიკაციო გამოცდა

1. სასერტიფიკაციო გამოცდა გულისხმობს ამგებმავის პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასებას.

2. სასერტიფიკაციო გამოცდის წესი და პირობები განისაზღვრება ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული დებულებით.

მუხლი 15. ტესტირება

1. ტესტირება გულისხმობს ამგებმავის პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასებას.

2. ტესტირების წესი და პირობები განისაზღვრება ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული დებულებით.

მუხლი 16. ამგებმავთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება

1. ამგებმავთა პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლება გულისხმობს ამგებმავის პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარ-ჩვევების დონის ამაღლების მიზნით ასოციაციის მიერ სწავლების ორგანიზებას.

2. სწავლების წესი და პირობები განისაზღვრება ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული დებულებით.

თავი III

ამგებმავის პროფესიული პასუხისმგებლობა

მუხლი 17. პროფესიული პასუხისმგებლობა

1. პროფესიული პასუხისმგებლობა არის ამგებმავის მიერ პროფესიული საქმიანობის სტანდარტების და ეთიკის ნორმების დარღვევისათვის გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

2. ამგებმავის პროფესიული პასუხისმგებლობის სახეები, პროფესიული პასუხისმგებლობის საკითხის განხილვის და გადაწყვეტილების მიღების წესი განისაზღვრება ამ კანონით და ასოციაციის საერთო კრების მიერ დამტკიცებული დებულებით.

მუხლი 18. პროფესიული პასუხისმგებლობის საფუძველი

1. პროფესიული პასუხისმგებლობის საფუძველია:

ა) ამგებმავის დამქირავებლის განცხადება ან საჩივარი;

ბ) იმ დაწესებულების ხელმძღვანელის განცხადება ან საჩივარი სადაც მუშაობს ამგეგმავი;

გ) იმ დაწესებულების წერილობითი განაცხადი, რომელსაც წარედგინა ამგეგმავის მიერ შექმნილი დოკუმენტი;

დ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით გავრცელებული ინფორმაცია.

2. განცხადება ან საჩივარი წარედგინილ უნდა იქნეს წერილობითი ფორმით და შეიცავდეს:

ა) განმცხადებლის ან მომჩივანის ვინაობას;

ბ) იმ ამგეგმავის ვინაობას, რომელსაც ეხება განცხადება ან საჩივარი;

გ) განცხადების ან საჩივრის არსსა და მოთხოვნას;

დ) სხვა გარემოებებს.

3. ანონიმური წერილები და შეტყობინებები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს ამგეგმავის დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხის განხილვას.

მუხლი 19. პროფესიული პასუხისმგებლობის სახეები

1. პროფესიული პასუხისმგებლობის სახეებია:

ა) წერილობითი გაფრთხილება (სარეკომენდაციო წერილი);

ბ) სერტიფიკატის მოქმედების შეჩერება;

გ) სერტიფიკატის გაუქმება

2. ამგეგმავს უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს სასამართლოში ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული პროფესიული პასუხისმგებლობის ნებისმიერი სახე.

მუხლი 20. პროფესიული პასუხისმგებლობის შეფარდების წესი

1. პროფესიული პასუხისმგებლობის სახის შეფარდებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ჩადენილი დარღვევის სახე, შედეგი, მიზანი, მოტივი და დარღვევის ჩამდენის პიროვნება.

2. გადაწყვეტილება უნდა იყოს დასაბუთებული და მიღებიდან 3 დღის ვადაში ეცნობოს ამგეგმავს, აგრეთვე განმცხადებელს ან მომჩივანს. ამასთან გაკეთდეს შესაბამისი აღნიშვნა სასერტიფიკაციო რეესტრში.

თავი IV

დასკვნითი დებულებანი

მუხლი 21. დასკვნითი დებულებანი.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან ორი თვის შემდეგ.

